



სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

ქ.თბილისი
8 მაისი 2007

პროგრამის მიზანი

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის
სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური
ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის ბენეფიციარები

- პროგრამის ბენეფიციარები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
- რეგისტრაცია გავლილი აქვთ, ან რეგისტრაციის მიზნით შეტანილი აქვთ განაცხადი 2007 წლის 1 იანვრამდე;
- სულ ბენეფიციართა ოდენობა - 654 936 (მ.შ თბილისელი და იმერელი მოსარგებლეა 181 122 ათასი ადამიანი

პროგრამის ძირითადი დებულებები

თბილისში და იმერეთში მცხოვრები ბენეფიციარების სამედიცინო დაზღვევას განახორციელებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები სახელმწიფო ასიგნებებით.

თბილისელ და იმერელ ბენეფიციარებს გააჩნიათ კერძო სადაზღვევო კომპანიის არჩევანის უფლება

აქტუარული გათვლების შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესაბამისი სადაზღვევო პრემია შეადგენს 6 .95 ლარს

პროგრამის მოცულობა

- გადაუდებელი ამბულატორიული და ჰოსპიტალური მკურნალობა;
- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზემოთ ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის ვიზიტები ბინაზე, სპეციალისტების კონსულტაცია, რენტგენოლოგიური და ექოსკოპიური გამოკვლევები;
- გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება;
- გეგმიური ოპერაციებისათვის დიაგნოზის დასაზუსტებელი გამოკვლევები;
- მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები;

პროგრამის მოცულობიდან გამონაკლისები

- ესთეტიკური ქირურგიის ხარჯები
- კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები;
- სანიტარულ-კურორტული მკურნალობის ხარჯები;
- სექსუალური დარღვევების კვლევისა და მკურნალობის ხარჯები;
- უშვილობის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- კონკრეტული ჩვენებების გარეშე ჩატარებული გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯები;
- საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯები;
- ვენერიული დაავადებების, შიდსის, ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები;
- გეგმიური თერაპიული ჰოსპიტალური მკურნალობის ხარჯები